პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

პარასკევი, 4 აპრილი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

წითელი მეომარი

№ 467 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე.

ქართულ დივიზიის პარტ-კომისიისაგან

ქართულ დივიზიის პარტკომისიაში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატებათ მიღებაზე შემდეგ ამხანაგებს:

1. აროშიძე ბენიამინ დავითის-ძე 2. დარახველიძე ანთიმოზი დავითის-ძე, 3. გოგოშიძე იასონი ერასტის-ძეს (ქართულ ცხენოსანი ლეგიონის) 4. ვაშაკიძე მათე ნესტორის-ძე 5. ჯიბალაშვილი ალექსი გიოს-ძე (1-ლ ქართულ ლეგიონს)

ქართულ დივიზიის პარტკომისია გთხოვთ თუ ვინმეს აქვთ საწინააღმდეგო აღნიშნულ ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ გვაცნობოთ წერილობით ან სიტყვიერად პარტკომისიაში (მისამართი რუსთაველის ქუჩა, ყოფილი კადეტის კორპუსი ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილება. პარტკომისიას)

ქართულ დივიზიის პარტკომისიის მდივანი ვ. მამულაშვილი.

ბურჟუაზიული „სამართლიანობა“

გიტლერ-ლიუდენდორფის გასამართლება დამთავრდა. განაჩენი, რომელიც გამოუტანა მათ სასამართლომ, კიდევ ერთხელ ამოწმებს და ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, თუ რამდენათ არსებული მართლმსაჯულება გერმანიაში კლასიური ბუნებისაა და ერთგული იარაღია ბურჟუაზიის ხელში.

ბურჟუაზიულმა სასამართლომ ლიუდენდორფი—ეს გერმანიის მუშათა კლასის სისხლის მწოველი. მილიტარიზმის ბოროტი გენია, გაამართლა. ასევე ლმობიერად მოექცა ის დანარჩენ ბრალდებულებსაც. გიტლერს, გენერს, კრიველს და ვებერს მიესაჯა ექვსი წლის ციხე შემდეგი შეღავათით: ექვსი თვე ციხეში ყოფნა, დანარჩენი კი პირობით.

ანალოგიური სასჯელი სასამართლომ მიუზღო გიტლერის ფაშისტურ ამბოხებაში სხვა აქტიურ მონაწილეებსაც.

ასე „დასაჯა“ ბურჟუაზიულმა სასამართლომ ის ხალხი, რომლებიც სისხლიან დღეებს უქადიდენ გერმანიის პროლეტარიატს თავისი ამბოხებით.

რას ნიშნავს ეს?

მართლაც გასამართლებასთან გვაქვს საქმე თუ კომედიასთან, რომელიც უფრო წაახალისებს გერმანიის ფაშიზმს უარესი ექსპერიმენტების მოსახდენათ.

განა შეიძლება ჩვენ ასეთ განაჩენს დასჯა, გასამართლება უწოდოთ? არამც და არა.

ამ გასამართლებამ ჩვენ ერთხელ კიდევ გვაჩვენა თუ რა მჭიდრო იდეური და სულიერი ნათესაობაა გერმანიის მტაცებელ ბურჟუაზიისა და ფაშიზმის შორის.

მშრომელთა მასების თვალების ასახვევად, ბურჟუაზიამ მოაწყო ეს პროცესი. თავის განაჩენით კი მან გამოამჟღავნა თავისი სიმპატია ლიუდენდორფისადმი. ბურჟუაზიამ კარგათ იცის, რომ ლიუდენდორფი, გიტლერი და მათი ამალა ყველანი ერთგული ძაღლებია კაპიტალიზმისა. აბა როგორ უნდა გაიმეტოს სასიკვდილოთ ბურჟუაზიამ ერთგული მონები! ასეთ სისულელეს არას დროს არ ჩაიდენს.

ამიტომ მისი განაჩენი გიტლერ-ლიუდენდორფის საქმეზე სრულიად არ არის ჩვენთვის გასაკვირი. სულ სხვა ნაირად ეპყრობა ბურჟუაზიული სასამართლო რევოლიუციონერებს, მშრომელი ხალხის მეგობრებს.

დღეს რადიომ მოიტანა ერთი ცნობა, რომელიც კიდევ უფრო ხაზს უსვამს ბურჟუაზიულ მართლმსაჯულების კლასიურ შინაარსს.

გამბურგის სასამართლომ მუშა—კომუნისტს ვილენდორფს გამბურგის რევოლიუციონურ ამბოხებაში მონაწილეობისათვის მიუსაჯა თორმეტი წლის ციხე, ყოველგვარ შეღავათის გარეშე.

აი სად იჩენს თავის სიმკაცრეს, სასტიკობას ბურჟუაზიული სასამართლო. ის დაუძინებელი მტერია მუშათა კლასის, ხოლო ერთგული დამცველი კაპიტალიზმისა.

ლიუდენდორფს, გიტლერს—გერმანიის რეაქციის ბელადებს მან მიუსაჯა რა, სასჯელი? არა გამოუცხადა თავისი თანაგრძნობა და სიმპატია. უბრალო მუშა—კომუნისტს ვილენდორფს, რომელიც იზნიქება კაპიტალიზმის მძიმე უღლის ქვეშ და ებრძვის მას, თორმეტი წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით.

ასეთია ბურჟუაზიული „სამართლიანობა.“ მაგრამ ბურჟუაზიულ მართლ-მსაჯულება ხომ მარადიული არაა.

მისი დღეები ისევე დათვლილია, როგორც თვით ბურჟუაზიისა.

ახლოვდება ჟამი, როდესაც მასზე სამართლიან განაჩენს გამოიტანს ისტორია, ამ მოახლოვებას ის გრძნობს და ამიტომ არის, რომ ასეთი სინამდვილით ის გვიჩვენებს თავის ჭეშმარიტ სახეს.

და რამდენათაც ის თავის, გესლიან ბრჭყალებს ჩასჭიდებს მშრომელ ხალხს, მით უფრო დააჩქარებს თავის აღსასრულის მოახლოვებას—პროლეტარულ რევოლიუციას, რომელიც შეუბრალებელი ხელებით ბოლოს მოუღებს მასთან ერთად ბურჟუაზიის ბატონობასაც.

რადიო-დეპეშები

— ბერლინიდან მიღებულ ცნობით, რამოდენიმე ალაგას გერმანიაში იფეთქა რკინის გზელთა გაფიცვებმა.

- ამ ბოლო დროს ვარშავაში დიდი მოძრაობა ეტყობოდა რუს თეთრ გვარდიელებს. ჩამოვიდნენ კონსპერატიულად პეტლიურა და ძმები სავინკოვები.

— ჩინეთის სხვა და სხვა საზოგადოებრივი წრეები დაჟინებით მოითხოვენ საბჭოთა კავშირის საჩქაროდ ცნობას.

— სასოფლო ყრილობების საერთო თათბირმა ერთხმად დაადგინა გამოჰყონ ყოველ სოფლებში განსაკუთრებული მიწის რაიონები, რომლებიდანაც შემოსული მოსავალი გადაიდება ილიჩის ფონდის სასარგებლოთ.

საბჭოთა კავშირი.

რკპ - ს ცეკას პლენუმი.

1 და 2 აპრილს გაგრძელდა ცეკას პლენუმის სხდომა. საშინაო ვაჭრობის და მომხმარებელ კოოპერაციის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებ:

საშინაო ვაჭრობის კომიტეტის შესახებ.

საშინაო ვაჭრობის კომიტეტის მუშაობის შესახებ: 1) საშინაო ვაჭრობის კომიტეტი გადაკეთდეს სახალხო კომისარიატად ადგილობრივი ორგანოებით, მაგრამ შედარებით სხვა კომისარიატებთან შემცირებული შტატებით. 2) ცნობილ იქნას, რომ ამ სახალხო კომისარიატის ძირითადი ამოცანა უნდა იყოს ბაზრის დაპყრობა სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის მიერ კერძო და პირველ რიგში ბითუმად სავაჭრო-კაპიტალის ხარჯზე, და აგრეთვე აქტიური კონტროლი კერძო კაპიტალის წარმოებაზე. მიღებულ იქნას, რომ ამ მიზნებისთვის სახალხო კომისარიატს უნდა მიენიჭოს მთელი ვაჭრობის რეგლამენტაციის უფლება და ხელმძღვანელობითი მონაწილეობა სავაჭრო პოლიტიკის განსაზღვრაში ყველა ორგანიზაციებში, რომლებშიაც არსებობს სახელმწიფო კაპიტალი. 3) გაძლიერებულ იქნას საშინაო ვაჭრობის კომიტეტი-მომავალი სახალხო კომისარიატი პასუხის მგებელ მომუშავებით.

მომხმარებელთა კოოპერაცია

მომხმარებელთა კოოპერაციის მუშაობის საკითხების შესახებ-მიღებულ იქნას საფუძვლად პოლიტბიუროს პრაქტიკული წინადადება მომხმარებელთა კოოპერაციის მუშაობის საკითხის შესახებ.

რკპ ს მე 13-ე ყრილობის დღის წესრიგი.

ამას გარდა პლენუმმა დაადგინა მოიწვიოს მორიგი მე-13-ე ყრილობა 20 მაისს. შემდეგი დღის წესრიგით: 1) ცეკას პოლიტიკური ანგარიში, 2) ცეკას საორგანიზაციო ანგარიში, 3) ცენტრალურ სარევიზიო კომისის ანგარიში, 4) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ანგარიში, 5) რკპ-ს წარმომადგენლობის ანგარიში კომინტერნის აღმასკომში, 6) საშინაო ვაჭრობა და მომხმარებელი კოოპერაცია, 7) სოფელში მუშაობის შესახებ, 8) ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ, 9) პარტიულ—საორგანიზაციო საკითხები, 10) პარტიის ცენტრალური დაწესებულებების არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა ყრილობაზე რჩება უცვლელად: ერთი—ათასზე. რკპ-ს ყველა კანდიდატებს აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება ყრილობისთვის დელეგატების არჩევნებზე. მომხსენებელთა დანიშვნა და ყრილობის დღის წესრიგის საკითხების შესახებ თეზისების გამოქვეყნება პლენუმმა მიანდო პოლიტბიუროს.

უკრაინის მრეწველობის მდგომარეობა.

უკრაინის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ამხ. მაქსიმოვმა უკრაინის მრეწვე-

საბჭოთა კავშირის მეურნეობა წინ მიიწევს.

საბჭოთა კავშირის მეურნეობა მტკიცე ნაბიჯით მიიწევს წინ აღორძინებისა და აღდგენის გზაზე.

სახალხო მეურნეობის ამ ზრდას საუცხოვოთ ასურათებს ამხ. გრომანი თავის მოხსენებაში გოსპლანში.

მდგომარეობის გაუმჯობესება და საერთო წინსვლა დაეტყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

შარშანდელთან შედარებით ძლიერ გაიზარდა საგარეო ვაჭრობა, რომლის ბალანსი დღითი დღე უფრო აქტიური ხდება. ექსპორტი ოთხჯერ მეტად გაიზარდა გასულ წელზე, იმ დროს, როდესაც, იმპორტი ე. ი. საზღვარ გარეთიდან დამზადებული საქონლის შემოტანა ერთ და იმავე დონეზე სდგას. ეს რასაკვირველია დიდი მიღწევაა ჩვენი მეურნეობისა, რასაც ხელი შეუწყო სახელმწიფოს ხელში საგარეო ვაჭრობის მონოპოლიამ.

არა ნაკლები მიღწევებია მრეწველობაშიც.

აქაც ჩვენ ვამჩნევთ დიდ პროგრეს.

გასულ წელთან შედარებით წარმოება გაიზარდა ერთი ორად, რასაც მოჰყვა უმუშევართა რიცხვის 15% შემცირება და სამუშაო ქირის 40% გადიდება. აქედან კი ცხადია თუ როგორ დაკავშირებულია მშრომელთა ხალხის ბედ იღბალი მრეწველობის მდგომარეობასთან. ამიტომ ყველა მშრომელთა მოვალეობას შეადგენს მეტი მზრუნველობით და ენერგიით შეუწყონ ხელი წარმოების შემდეგ აყვავებას.

გამოცოცხლება და წარმატები ემჩნევა სასოფლო მეურნეობასაც. დათესილ მიწების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით გაიზარდ 20% ხოლო სასოფლო მეურნეობის პროდუქციამ მოიმატა 10—12%. მომავალში სათესი მიწების რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

აქვე უნდა აღინიშნოს საბჭოთა პურის ბრწყინვალე მიღწევები. თვით მთავარი ჩვენი კონკურენტი ამერიკა იძულებულია აღიაროს, რომ საბჭოთა პური თანდათან იპყრობს პურის ბაზარს, განსაკუთრებით ევროპის კონტინენტზე, სახელდობრ გერმანიაში.

სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებას ხელს უწყობს სამიწადმოქმედო მანქანებით მიწის დამუშავება.

თუმცა ასეთებით ჯერ-ჯერობით ჩვენი გლეხობის მეტად მცირე ნაწილი სარგებლობს, მაგრამ ლტოლვა გაუმჯობესებულ სასოფლო-მეურნეობის იარაღების შეძენისაკენ მეტად დიდია მათში. როგორც ამხ. გრომანი გადმოგვცემს, იქ სადაც შეღავათიან პირობებში შეიძლება შეძენა სასოფლო-მეურნეობის იარაღებისა, გლეხები ასეთებს იტაცებენ. სოფლის მეურნეობის აღდგენის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალათ აგრეთვე უნდა ჩაითვალოს მუშა საქონლის რაოდენობის ზრდა, რაც გამოიხატებ 20%—30%.

ასეთია მოკლეთ სქემატიური სურათი საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობის მდგომარეობისა ამ ჟამად. მაგრამ ის სავსებით საკმარისია, რომ ჩვენ შემდეგი დასკვნა გაუკეთოთ: საბჭოთა კავშირის მეურნეობა დღითი დღე ვითარდება და მტკიცე, ურყევი ნაბიჯით წინ მიიწევს საბოლოო აღორძინებისაკენ.

—შ

467
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის შესახებ მოხსენებაში განაცხადა, რომ უკრაინის მსხვ. ინდუსტრიის პროდუქცია გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 50%, წვრილი 22 პროცენტით.

მანქანების შენების პროგრამა უდრის ომამდე არსებულის 60 პროცენტს და აღემატება გასული წლისას.

შაქრის მრეწველობა მალე გაუსწორდება ომამდე არსებულ წარმოების თვით ღირებულებას; ტომრები და თოკები სრულ კონკურენციას უწევენ უცხოეთისას.

სუსტად მუშაობს მხოლოდ ზეთის მხდელი მრეწველობა, რომელიც სუსტად არიან უზრუნველყოფილი ნედლი მასალით.

დონის თევზის საგაზაფხულო ჭერა.

დონის ყინულისაგან განთავისუფლების შემდეგ დაიწყო თევზის საგაზაფხულო ჭერა. როსტოვის ბაზარი სავსეა თევზით. ფასები 80 პროცენტით დაეცა.

სახელმწიფო გადასახადების შემოსვლა გადიდდა.

თებერვლის განმავლობაში მთელ საბჭოთა კავშირში, ამიერ-კავკასიისა და შორეულ აღმოსავლეთის გამოკლებით, შემოვიდა სახელმწიფო გადასახადი 65 მილიონ მანეთამდი, ადგილობრივი გადასახადი—17 მილიონი მანეთი. წინა თვესთან შედარებით, სახელმწიფო გადასახადების შემოსვლა გაიზარდა 15 მილიონ მანეთით, ადგილობრივი — 7 მილიონით.

ეროვნულ უმცირესობათა განათლების საბჭო.

ეროვნულ უმცირესობათა განათლების საბჭომ ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ და პოლიტიკურ განათლების დაჩქარების მიზნით, წინადადება მისცა ეროვნულ უმცირესობათა დაწესებულებებს შეუდგენ სკოლების გადატანას მშობლიურ ენებზე იმ გუბერნიებში, რომლებშიაც მოიპოვება ეროვნულ უმცირესობათა უმრავლესობა. წინადადება მიეცა აგრეთვე პირველ ხარისხის სკოლებში, რომლებშიაც სწავლობენ ეროვნულ უმცირესობათა დიდი ნაწილის ბავშვები, შემოღებულ იქნას სწავლება მშობლიურ ენაზე. გადასვლა უნდა სწარმოებდეს თანდათანობით, სამოსწავლო წლის დასაწყისიდან

რუსეთ-რუმინეთის კონფერენცია.

რუმინეთის დელეგაციის საპასუხო დეკლარაცია.

რუმინეთს ისე ეშინია პლებისციტის როგორც ცეცხლის.

საპასუხო დეკლარაციაში რუმინეთის დელეგაცია აცხადებს, რომ 1912 წელში რუსეთმა ძალით ჩამოაშორა ბესარაბია მოლდავიას, რომლისგანაც წარმოიშვა დღევანდელი რუმინეთი. დეკლარაცია ამტკიცებს, რომ თითქოს ბესარაბია შეუერთებია რუმინეთს მოსახლეობის ნებაყოფლობით. რუმინეთის არმია შეყვანილ იქნა ბესარაბიაში ბესარაბიის მოსახლეობის დაჟინებითი მოთხოვნით.

დეკლარაციაში ნათქვამია: „რუმინეთის მთავრობა უარყოფს პლებისციტს იმიტომ, რომ წინადადების მიღება პლებისციტის შესახებ გამოიწვევდა აზრთა სხვა და სხვაობას მოკავშირეთა შორის, რომლებმაც იცნეს ბესარაბიის შეერთება რუმინეთთან“.

დასასრულ დეკლარაცია გამოსთქვამს იმედს, რომ საბჭოთა მთავრობა არ დააწვება თავის ისტორიულ უფლებებს და ორივე მთავრობები შესძლებენ გამოსძებნონ შესაფერი ფორმა ამ სადაო საკითხის გადასაჭრელად. თუ საბჭოთა კავშირი მოითხოვს დაჟინებით პლებისციტს, იმ შემთხვევაში კონფერენციის წარმატებითი მსვლელობა საეჭვო იქნება დეკლარაცია მთავრდება „წინადადებით, რათა ხელახლა იქნას განხილული რუმინეთის არგუმენტები.

რუმინეთის ეროვნული უმცირესობა გახარებულია პლებისციტის მოთხოვნით.

პლებისციტის მოთხოვნამ რუმინეთის ეროვნულ უმცირესობაში ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. უნგრეთის გაზეთები, რომლებიც გამოდიან კლავზენბერგში, ბეჭდავენ ცნობებს ბესარაბიის გადახვეწილთა დემონსტრაციის შესახებ საბჭოთა კავშირში, და აგრეთვე მემორანდუმის ტექსტს, რომელიც გადასცა გადახვეწილებმა საბჭოთა დელეგაციას.

ამ ნაირად ეროვნულ უმცირესობათა პრესა გამოსთქვამს თავის დამოკიდებულებას რუმინეთის მთავრობის პოზიციასთან.

მეტის თქმა მას არ შეუძლია მთავრობის ტერორის საფრთხის გამო.

რუმინეთის პრესის აზრი.

რუმინეთის პრესა ერთხმად აღიარებს, რომ საბჭოთა დელეგაციის მიერ წამოყენებული მოთხოვნილება პლებისციტის შესახებ აუცილებლად გამოიწვევს მოლაპარაკების ჩაშლას.

უკომენტარიოდ.

გერმანიის პრესა კმაყოფილდება მოკლე ცნობებით რუსეთ-რუმინეთის კონფერენციის შესახებ, უკომენტარიოდ.

დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ პოლონეთის სამხედრო სამინისტროს მოწოდებით პოლონეთში მოვიდა რუმინეთის გენშტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი ფლორესკუ, რომელმაც ინახულა კრაკოვი, პოზნანი და ვილნა,

პოლიტიკური წრეები ფლორესკუს პოლონეთში ჩამოსვლაში ხედავენ დემონსტრაციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

იმავე დროს სიკორსკი გაემგზავრა საინსპექციოდ აღმოსავლეთ განაპირა მხარეებში და ინახულა გარნიზონები, რომლებიც მოთავსებული არიან პოლონეთ-რუმინეთის და საბჭოთა კავშირის საზღვრებთან ახლოს,

მოკავშირეები და სსრკ

როგორ ეხმარებოდნენ მოკავშირეები იუდენიჩს.

როსტას კორესპონდენტთან საუბარში კაპიტან მარტინმა მოიყვანა დაწვრილებითი ცნობები ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მონაწილეობის შესახებ იუდენიჩის პეტროგრადზე შეტევის დროს. მარტინმა კორესპონდენტს აჩვენა საბუთები, რომლებიც ეხებიან გაზოლინით, ზეთით და ავტომობილის ნაწილებით დატვირთვას, რომლებიც გაგზავნილ იქნა საფრანგეთის მიერ რეველში ჩრდილო-დასავლეთ არმიის მომარაგების კომიტეტის მისამართით. მარტინმა აჩვენა აგრეთვე წერილი, რომელიც ხელმოწერილია გენერალ ვალის მიერ (გუშინდელ დეპეშებში აღნიშნული გვარი „ბალკ“ არ არის მართალი) რომელიც ამტკიცებს, რომ ვალმა მართლაც იმოგზაურა საფრანგეთიდან რეველში კაპიტან მარტინის გემით. მარტინის სიტყვებით, ვალი წარმოადგენს კოლჩაკის დენიკინის და იუდენიჩის სამხედრო წარმომადგენელს პარიზში. ვალმა გააცნო მარტინს გეგმა იუდენიჩის დასახმარებლად, რომელიც შემუშავებულიყო პარიზში გუვერის მიერ ამერიკის წარმომადგენლის სახით, და ჩერჩილის-ინგლისის. გუვერი კისრულობდა მიეწოდებია იუდენიჩისთვის სურსათი, ავტომობილის ნაწილები და გაზოლინი, ხოლო საფრანგეთი და ინგლისი კისრულობდენ იუდენიჩის მომარაგებას ტანსაცმელებით, ყუმბარებით და სხვა სამხედრო ბარგებით.

ინგლისის ფლოტი უნდა მოლოდებოდა რეველში პეტროგრადის დაცემას, ხოლო ფინეთის ჯარმია-საზღვარზე. ბალტიის ბარონებს ვანდერგოლცსა და ბერმონტს უნდა გაეწიათ დახმარება იუდენიჩის-ოპერაციისათვის. ინგლისის მუშათა პროტესტის გამო, ჩერჩილმა ვერ მოახერხა ჰაეროპლანებისა და ტანკების გამოგზავნა, და ვანდერგოლცმა ნაადრევად დაიწყო კომპანია ლატვიაში, რამაც აიძულა იუდენიჩი გამოსულიყო არა საკმაოდ შეიარაღებული ძალებით. მაშინ ინგლისის გენერალმა გოფფმა მიმართა მარტინს თხოვნით, რათა ეყიდა ჰაეროპლანები და ტყვიამფრქვევები გერმანიაში. მარტინმა თავის მხრივ მიმართა ამერიკის კომისარს გელსინგფორსში, რომელმაც დეპეშა გაუგზავნა ამის შესახებ ამერიკის საელჩოს პარიზში. რადგანაც სხვა ინსტრუქციები არ მიუცია, მარტინმა შეჰკრა პირობა ჩრდილო- დასავლეთ არმიის მომარაგების შტაბის უფროსთან- იანოვიჩთან გერმანიაში ჰაეროპლანების ყიდვის შესახებ. ფიქრობენ, რომ სენატორი ბორა რომელმაც განიხილა მარტინის ჩვენებები, აღძრავს კომისიის მოწვევის საკითხს რუსეთის საკითხის შესახებ.

გერმანიის ამბები.

სამხედრო კანტროლი.

გერმანიის ელჩმა პარიზში ჩააბარა პუანკარეს, როგორც უზენაე სსაბჭოს თავმჯდომარეს, გერმანიის მთავრობის პასუხი უკანასკნელ ნოტაზე, რომელიც ეხებოდა სამხედრო კანტროლს გერმანიაში. გერმანიის მთავრობა წინადადებას იძლევა, რათა ერთა ლიგამ დანიშნოს განსაკუთრებული კომისია, რათა სამხედრო კანტროლი განხორციელდეს ვერსალის მოლაპარაკების მე-5-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს საერთო განიარაღებას.

„სანქცია“.

რურის მემაღაროეთა მოლაპარაკების დროს იმუქრებოდენ ახალი სანქციებით იმ შემთხვევაში თუ მემაღაროები შესწყვეტენ საკონტრიბუციო გარიგებებს 15 აპრილის შემდეგ

საფრანგეთის ფრთის ქვეშ.

მიუხედავად სეპარატისტების ლიდერის, მატესის შეპყრობის შესახებ გამოცემულ ბრძანებისა, გერმანიის ძალები მოკლებული არიან საშუალებას დააპატიმრონ მატესი, ვინაიდან გენერალ დეგუტმა გამოსცა ბრძანება, რომელიც უკრძალავს ადგილობრივ ძალებს მისცენ პასუხისგებაში პოლიტიკური დამნაშავეები საოკუპაციო ოლქებში.

ცალკეული გაფიცვები.

ბერლინიდან მიღებულ ცნობით, გერმანიის რამოდენიმე პუნქტებში მოულოდნელად იფეთქა ცალკეულმა გაფიცვებმა.

განაჩენი გიტლერის საქმეზე.

მართლმსაჯულების სრული გაკოტრება.

როგორც კი გაიგეს განაჩენი გიტლერზე, მიუნხენის ქუჩებში დაიწყეს გროვება მისმა მომხრეებმა. პოლიციამ ძლივს გარეკა დემონსტრანტები. მთელ ბავარიაში პოლიცია და რეიხსვერი მზად არის. აკრძალულია ყოველგვარი კრება.

მემარჯვენე წრეები კმაყოფილი არიან პროცესის შედეგით. მემარცხენე ფრთა აღნიშნავს, რომ განაჩენმა გამოამჟღავნა მართლმსაჯულების სრული სიკოტრე.

ამხ. წითელ არმიელებს.

დივიზიის მომარაგების სამმართველოში მოდიან ამხანაგი წითელი არმიელები და გვეკითხებიან, თუ რატომ მათ მაზარებში არ უშვებენ სოფლად. გაზეთ „კრასნი ვოინ“-ში დაწერილია, რომ მიმავალ უვადო შვებულებაში წითელ არმიელებს, ეძლევათ მაზარები, თავის თავად ცხადია თქვენ, როგორც შეგნებული და განვითარებული ამხანაგები მიხვდებით რომ რუსულ გაზეთში ამ საკითხის შესახებ მოთავსებული შენიშვნა ეკუთვნის რუსების ნაწილებს, ვინაიდგან ისინი მიდიან ზოგი არხანგელსკის გუბერნიაში, ზოგი კი სხვა ადგილებში, სადაც ჯერ ზამთარია; სადაც ივნისის ბოლო რიცხვებში დგება გაზაფხული.

თქვენ ამხანაგებო, მიდიხართ აქვე საქართველოს კუთხეებში, სადაც უკვე გაზაფხულია და ამიტომ არ საჭიროებთ მაზარის ხმარებას თუ კი უკიდურეს შემთხვევაში ისეთი ადგილები არის სადაც კიდევ სიცივეა იქ მიმავალ ამხ. წითელ არმიელთ მიეცემათ მაზარა. საბჭოთა ხელისუფლება დიდათ აფასებს თქვენ შრომას და სურვილს, ის მოწადინებულია დაკმაყოფილებული ყავდეს მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევს რესურსები. ამიტომ ამხ. წითელ არმიელებში რომლებიც მიდიან სოფლად ექნება ადგილი გულ-ნაკლულობას. ნუ ამხ. წ. არმიელებო საბჭოთა ხელისუფლება დიდათ აფასებთ თქვენს სოფელში დაბრუნებას, თქვენ ენერგიულად იმუშავებთ სოფლათ ღ წით. ყაზარმებში შეძენილ ცოდნას გადასცემთ თქვენ მოძმე გლეხკაცობას.

ამხანაგ. სალამით **ქერქაძე.**

წარსული შეცდომები აცილებული იქნება.

როგორც ვიცით გასულ წლის მაისში გამოწვეულნი იყვნენ წ. ჯარის რიგებში 1901 წელში დაბადებულნი. ამ კომპანიის ჩასატარებლად ყველა მაზრებში გაგზავნილი იყვნენ განსაკუთრებული კომისიები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ახალ წვეულების მიღებას და ანაწილებდნენ მათ ქ დივიზიის სხვა და სხვა ნაწილებში.

აღნიშნულ კომისიებს მიღებული ჰქონდათ სამხედრო კომისარიატისაგან განსაკუთრებული ინსტრუქციები, რომლითაც ხელმძღვანელობდენ თავის მუშაობაში.

მე არ შევეხები აღნიშნული კომისიების წარსულ მუშაობას, მხოლოდ უნდა ავღნიშნო ერთი უმთავრესი შეცდომა, რომელიც გამოირკვა წ. მოლაშქრეების ნაწილებში მოსვლის შემდეგ.

ეს იყო მამის ერთა შვილების ოჯახზედ მოშორება და მეორეც ის, რომ კომისიამ და ადგილობრივ ხელისუფლებამ გამოიყვანა ისეთი ახალგაზრდები, რომლებსაც ოჯახებში დარჩათ შრომის უნარ მოკლებული მშობლები, რადგან გასაწვევს არ ჰქონდა ამის სათანადო მოწმობები. სიტყვიერ განცხადებებს კი კომისია ვერ დაუჯერებდა და ამიტომ ისინი მოხვდენ ჯარის რიგებში.

მე არ მინდა რომელიმე კომისიას უსაყვედურო ამ შეცდომებზედ. ეს საერთო ნაკლი იყო ადგილობრივ ხელისუფლების, რომლებსაც არ ქონდათ ამისათვის სათანადო გამოცდილება და ამ გამოუცდელობამ დიდი ხარჯები მისცა სახელმწიფოს. ყველა ისინი ვინც გაჭირვებულ ოჯახებიდან გამოიწვიეს და მათ არ დარჩათ მშრომელი ხელი ოჯახში, ყოველთვის გარბოდენ სახლებში და უმთავრესად კი ეს გარემოება უწყობდა ხელს დეზერტირობას და ამ დეზერტირობისათვის კი დაისაჯა თითქმის ასობით ახალგაზრდები.

ჩვენ რომ ასეთი პირობები არ შევქნათ ახალწვეულთა მომავალ გამოწვევის დროს, საჭიროა, როგორც დანიშნულმა კომისიამ აგრეთვე ადგილობრივმა ხელისუფლებამ დიდი ყურადღებით უნდა მოეპყრან ამ საქმეს, რათა წარსული წლის მზგავსად არ განმეორდეს დაუშვებელი შეცდომები.

ამის ცხოვრებაში გატარება სულ თავისუფლად შეგვიძლია, რადგან ჩვენს დივიზიის შტაბს სჭირდება 5 ათასი წ. მოლაშქრე და ამავე დროს ერთი წლის დაბადებულთა გამოწვევის რიცხვი კი აღემატება თითქმის ათი ათას ახალგაზრდას.

თუ ჩვენი კომისია კარგათ დაუკვირდება მიღების მიმდინარეობას და შეასრულებს მთავრობის ინსტრუქციებს ადგილობრივ ხელისუფლების დახმარებით, ჩვენ მომავალ ახალ წვეულთა შორის არ გვეყოლება ერთი უკმაყოფილო წ. მოლაშქრე, და რასაკვირველია დეზერტირობასაც მოეღება ბოლო.

ასეთი დადებითი მუშაობის ჩასატარებლად პარტია და მთავრობა ყოველთვის მზად იქნება, მაგრამ ამ საქმეში ახლად გაშვებული წ. მოლაშქრეებიც ბევრს დაგვეხმარებიან თავიანთი გამოცდილებით, რომლებიც საკმაოდ მიიღეს წითელ ყაზარმაში ცხოვრების დროს.

ასეთი ზომების მიღება მთავრობას სრულებით არ დასჭირდება, თუ კი ყველა ორგანოები და ყველა პატიოსანი მოქალაქე დაეხმარება გაგზავნილ კომისიებს, რომლებსაც დავალებული ექნებათ მთავრობისგან ახალწვეულების მიღება.

ს. ლ.

ჩვენი
წითელ
კარი

მე-7-დე ქარ. გაერ. მეთ. შემად. სამხ. სკოლა.

გაზეთის ფურცლებში ბევრი რამ იწერება ჩვენი სკოლის ცხოვრებიდან. მაგრამ ჯერ მე არ წამიკითხავს იმის შესახებ, თუ როგორ არის მოწყობილი ჩვენი სამკითხველო და როგორ მუშაობას და რა დახმარებას გვიწევს ჩვენ ის. დღემდის არ შეიძლებოდა გვეთქვა ჩვენი კლუბის კულტურულ მუშაობის შესახებ, რაც გამოწვეული იყო სხვა და სხვა შემაფერხებელი მიზეზებით. უმთავრესი ის იყო რომ, დღიდან სკოლის დაარსებისა ჩვენ სკოლის დასჭირდა ხუთჯერ ახალი ბინის გამოცვლა. აგრეთვე ჩვენი სამკითხველო მოკლებული იყო ქართულ—წიგნებს. ახლა თამამათ შეგვიძლია შევაფასოთ ჩვენი სამკითხველოს მუშაობის გეგმა და შედეგები. ამ მოკლე ხანში ჩვენმა სამკითხველომ მიიღო აუარებელი ქართული წიგნები. დივიზიის ცენტრ. კლუბიდან და ცეკიდან, აგრეთვე საკმაო რაოდენობა წიგნების მოვიდა მოსკოვიდან. დღეს კი ყოველ კურსანტს შეუძლია შეიძინოს წიგნი რომელიც მას სურს:

გაზეთებს საკამოდ გვიგზავნიან „წითელ არმიელს“ და „მუშას“ მხოლოდ „კომუნისტი“ ძალიან ცოტა მოგვდის. მაგრამ იმედი გვაქს ისიც მალე გვექნება. სამკითხველო მშვენივრათ არის მორთული და შენობის სიდიდეც ხელს უწყობს. შიგ მოთავსებულია სხვა და სხვა კუთხე. 1) ხელოვნების, 2) დრამატიული წრის, 3) სამხატრო, 4) კომკავშირის, 5) რელიგიის, 6) წითელი არმიის, 7) გერმანიის.) აგრეთვე არსდება. სანიტარული კუთხე.

ეს სხვა და სხვა კუთხეები მორთულია მშვენიერი პლაკატებით. ყველა კუთხეებს ყავს დანიშნული თავისი გამგეები კურსანტებიდან.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ დრამ-წრის კუთხე. მას თითქმის ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს და შესანიშნავიცაა თავისი მშვენიერი პლაკატებით. მისი დანახვა თუ გინდა კითხვაც არ იცოდე მაინც დაგაინტერესებს ადამიანს. კურსანტები კი დიდი დაინტერესებული არიან კუთხეების მოწყობაში. და თავის ჯამაგირს არ იშურებენ რამე ახალი პლაკატების შესაძენათ. რამ გამოიწვია ასეთი დაინტერესება? ყველა წრე ყველა კუთხის ხელმძღვანელები ეჯიბრებიან თავის კუთხის გაუმჯობესებაში.

ეს დაინტერესება ჩვენ სამკითხველოს დიდათ წასწევს წინ.

ამ კუთხეების მოწყობაში დიდი მუშაობა მიუძღვის ამხ. კლუბის უფროსს და კლუბის თანამშრომლებს. ისინი ყოველ გვარ დახმარებას გვიწევენ კულტურულ მუშაობისათვის. ახლა თამამათ იტყვის არა მარტო ჩვენი სკოლის კედლებში მყოფნი, არამედ პირველად მნახველი ჩვენი სკოლის რომ კლუბის მუშაობა დიდი ნაყოფიერია.

გულწრფელ მადლობას უძღვნით ჩვენი კლუბის ხელმძღვანელებს მათი დაუღალავი მუშაობისათვის. და უსურვებ შემდეგისათვის უფრო გაასკეცებულ მუშაობას.

ა. ჭკადუა.

პირველი ლეგიონი.

1-ლ ლეგიონში ა./წ. თებერვლიდან არსებობს კოოპერატივი, ,,ევკოგრუზი‘‘-ს განყოფილება, სადაც მოიპოვება მოთხოვნილებისამებრ ყოველგვარი საქონელი, მას ყავს მეთვალყურე კომისია.

კოოპერატივიდან საქონლის ნისიათ სარგებლობის უფლება ეძლევა წევრებს უფ და პოლიტ-შემადგენლობიდან ხუთი მანეთის რაოდენობით, წით. არმ. კი თავის ჯამაგირის რაოდენობით. კოოპერატივში ამჟამად იმყოფება ერთი ნოქარი, მაგრამ რადგანაც საქონლის დიდი მოთხოვნილებაა, ამიტომ მეთვალყურე კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა მიეცა ერთი დამხმარე ამხანაგი, აგრეთვე კომისიამ შეიმუშავა რათა კოპერატივის კედლებზე გაკრულ იქმნას საჭირო პლაკატები და აგრეთვე გაკეთებული იქნას რიგში ჩასადგომი რეშოტკა რომ უფრო მეტად იქმნას დაცული წესრიგი. წევრები მოითხოვენ და სურთ რათა წინ და წინვე შეიტანონ ფული და ისარგებლონ საქონლით კურსის და მიხედვით, რაზედაც კომისიამ იქონია მსჯელობა და გამოიტანა განაჩენი: ეთხოვოს „ევკოგრუზ“-ის გამგეობას, მიაწოდოს კოპერატივს ამის შესახებ ინსტრუქცია სახელმძღვანელოდ ჯერ ჯერობით კოპერატივის მუშაობა სათანადო დონეზე სდგას, მოსალოდნელია მომავალში უმფრო გაუმჯობესდება.

გ. ჭოლელი.

საარტილერიო პარკში.

10 მარტს, შესდგა პირად შემადგენლობის კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ჯაფარიძე და მდივნობდა ამხ. ჩხიკვიშვილი, დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები 1. უპარტიო წით. არმიელების კონფერენციის დელეგატების მოხსენება 2. ამავე ნაწილის კედლის გაზეთი „ყუმბარის ნატეხის“ სარედაქციო კოლეგიის წევრების შევსება 3. მუშათა და გლ. ინსპ. თ—რე მოხსენება თვიური მუშაობის შესახებ.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებენ დელეგატები ამხ. ამხ. ჯანდიერი და თოფურია, რომლებიც ნათლად და გარკვევით აღნიშნავენ კონფერენციის დღის წესრიგს, მდაბიო გასაგებ ენაზედ უხსნიან წითელ-არმიელებს ყოველივე მას, რაც მოისმინეთ კონფერენციაზე. დელეგატების მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ურყევად შეასრულებენ კონფერენციისას ყოველივე დადგენილებას.

მეორე კითხვის შესახებ კრებას აცნობს ამხ. ჩხიკვიშვილი. სარედაქციო კოლეგიის გამოკვლევით წევრათ მეორეს არჩევის შესახებ. წინადადებას იძლევა არჩეული იქნას ერთი სრულ უფლებიანი წევრი და მეორე მისი კანდიდატი. კრებამ ეს საჭიროდ სცნო და აირჩია წევრად ამხ. ირაკლი ჯანდიერი და კანდიდატად ამხ. იასონ გუგუშვილი.

მე-3-მე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს მუშ. გლ. ინსპ. თავ-რე ამხ. კასმარევა, რომელიც აღნიშნავს ინსპექციის მუშაობას. კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩათვალა მათი მუშაობა და უსურვა მომავალში უფრო ენერგიულად და ფხიზლად მუშაობა. დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ თავ-რე კრებას დახურულად აცხადებს.

სამხკორი: **ბ. ჩხიკვიშვილი.**

ჩვენი კედლის გაზეთები.

„კანდელი“ № 3 (დივ-ლაზარეთის ყოვ. კვირეული კედლის გაზეთი) 23 და 25 თებერვლის დღესასწაულებზეა მიძღვნილი. პატარა ფორმატისაა.

წერილებია: „ჩვენი ზეიმი“, „წითელ არმიის ისტორია“—ახალი ამბები‘‘, ,,სტვირი‘‘ (ლექსად) და ჩვენი ფოსტა.

სასიხარულოა რომ ჩვენი ნაწილები ენერგიულად და სისტემატიურად აწარმოებენ ამ დარგშიაც მუშაობას, და ბევრჯელაც აღვნიშნავს კედლის გაზეთებზე, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები და საზოგადოდ, როგორ უნდა იწერებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ ამ გაზეთზე ვერაფერს მოსაწონს ვერ ვიტყვით.

ქაღალდი ცუდი, ნაწერი წვრილი და გაურკვეველი; წერილები გრძელი და კედლის გაზეთისთვის შეუფერებელი. შინაარსი კარგია, მაგრამ ძალიან გრძელია და როგორც ლექსი ყოველ წესს მოკლებული, არის ქართულ ენაში დაუშვებელი, ზოგიერთი სიტყვებიც. მაგრამ ავტორს ეტყობა ნიჭი, რომელიც უნდა განავითაროს.

პოლიტ-ხელის ლექსი სულ არ იყო გასაშვები. იქ მაგ. ვკითხულობთ: ,,არმიელნო გაჰქრით მალე‘‘, და სხვა.

რედაქციამ უნდა მიაქციოს ხოლმე ყურადღება და შეასწოროს.

აქვე სურათები: ამხ. ტროცკისა და მთავ. სარდ. ამხ. კამენევისა. კარგი იყო ზედვე დაიხატოს და არა მიეკრას.

მიუხედავად ზოგიერთ ნაკლისა, გაზეთი მაინც კარგ მომავალს გვპირდება, რაშიაც ვუსურვებთ გამარჯვებას.

კარგი იყო რედაქტორი დაათვალიერებდეს სხვა ნაწილების გაზეთებს და მიჰბაძავდეს მას.

სანი.

ქარის კივილი.

ზღვის მღელვარებამ მოშაჯადოვა
და მის ხმაურში ჩავები გრძნობით,
და მის იალქნებს გაუბი მკლავი
მომწყინდა ყოფნა სულ მარტოობით.

და ვით ტალღები, გრიგალი, ცეცხლით
მეც ავბობოქრდი ავმხედრდი ველით,
და გული იქცა ცეცხლის მფრქვეველათ
და აზრი ჩემი სიმართლის მცველად.

წინ მივქრი ნავით საბედისწეროთ
არ ვეპუები ქარიშხლის კივილს,
და მრწამს რომ შიში ვერ იხსნის სიკვდილს
ვერ დამიამებს მე გულის ტკივილს.

ზღვის მღელვარებით მოჯადოებულს
სევდა ნაღველი მიქრება გულში,
და აღარ მინდა ვიყო დღეს იგი
რაც რომ ვიყავი წყეულ წარსულში.

ბრძოლათ ქცეული წინ მივქრი ნავით
არ ვეპუები ქარიშხლის კივილს,
და მწამს რომ შიში ვერ იხსნის სიკვდილს
ვერ დამიამებს მე გულის ტკივილს.

გოგიტო ციმბირელი

მე-7-დე ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სამხედრო სკოლის კურსანტები და სურამის გლეხობა.

ალბად ბევრს აინტერესებს რას ვაკეთებთ ჩვენ. არის თუ არა სამხედრო სკოლის კურსანტები მუშების და გლეხების ინტერესების დამცველი. ვეხმარებით თუ არა ჩვენ ღარიბეს გლეხობას არა სიტყვით, არა ვარი არა ჰქონდა. მას ერთი თვე უნდა ემუშავნა პურის მკაში და ლეწვაში, ჩვენი დახმარებით კი ერთ დღეში ათავებდა.

ჩვენ მეტ დახმარებას უწევდით ღარიბეს გლეხობას და ქვრივ ობლებს და ჩვენი დახმარების საგანი იყო არა მარტო ეკონომიური მისამედ საქმით. არის თუ არა იუნკრების და ჩვენ შორის განსხვავება.

თავის არსებობის პირველ დღეებიდანვე ჩვენმა სკოლამ მიზნად დაისახა დაცვა მუშების და გლეხების ინტერესებისა არა შემთხვევით, არა ირიბულად, არა სამხედრო ძალით და ფრონტზე, არამედ ეკონომიურ ფრონტზე, პირდაპირ უშუალოდ, მთელი თავისი ენერგიით, და ეს კიდეც ტარდება ცხოვრებაში.

ჩვენი სკოლა თავის დაარსების დღიდან ორჯერ გაემგზავრა სურამში საბანაკო შეკრებაზე. ჩვენი სკოლა იმყოფებოდა იმ ადგილზე სადაც უწინ იუნკრები იყვნენ.

პირველად გლეხობას ეგონა რომ ჩვენ ვიყავით ის იუნკრები, რომელთაც უწინ ჩვენი ადგილი საბანაკო შეკრების მიდამოებში ეჭირათ, მაგრამ როდესაც ჩვენ დაუმტკიცეთ მათ არა სიტყვით, არამედ საქმით,—ჩვენი ფიზიკური დახმარებით განსხვავება ჩვენსა იუნკრების შორის, მაშინ გლეხობა მიხვდა რომ ჩვენ მართლა მათი ინტერესების დამცველი ვიყავით.

ჩვენ გვასწავლიდნენ სამხედრო ცოდნასთან ერთად, რომ ჩვენ სურამის გლეხობასთან და საერთოდ ყველა მშრომელ ხალხთან გვქონოდა ძმური კავშირი, და კიდეც ამ მიზანს მიაღწია ჩვენმა სკოლამ.

როგორც ჩვენ ვეხმარებოდით ქართველ გლეხობას, აგრეთვე ეხმარებოდა რუსების და აღერბეიჯანის კურსანტები, რომელნიც ჩვენთან ერთად იყვნენ სურამში.

რაში გამოიხატებოდა ჩვენი დახმარება გლეხებისადმი. ჩვენი სკოლა შეფი იყო 6 სოფლის: ტეზერის ჩუმათელეთის, იტრიის, ბინამის, ქვიშხეთის და ზეკოტის.

აი ამ სოფლების გლეხობას დიდ დახმარებას უწევდა, როგორც ჩვენი სკოლა, აგრეთვე რუსების და აღერბეიჯანისა.

თუ რა გააკეთა გლეხების სასარგებლოდ ჩვენმა სკოლებმა, ამის მოწმეა თვით სურათის ღარიბესი გლეხობა, რომლებიც გულის ტკენით დაგვემშვიდობნენ.

თქვენ ძალიან ხშირად დაინახავდით ჩვენს კურსანტებს, რომ ისინი მუშაობდნენ გლეხობასთან, პურის მკაში, პურის ლეწვაში ჩვენივე ცხენებით. გლეხების სიხარულს საზღრჩლება, არამედ კულტურულ ფრონტზედაც, რომელიც თავის დონეზე იყო დაყენებული. ყველა ზემო ჩამოთვლილ სოფლებში იყო მოწყობილი პატარა სამკითხველოები, აგრეთვე ხშირად იმართებოდა თვით კურსანტების მიერ კრებები და მუსაიფი.

ჩვენ გულწრფელ დახმარებას სურამის გლეხობაც მიხვდა და დღეს თქვენ რომ ჰკითხოთ მათ, ისინი იმ წამსვე გიპასუხებენ, ნეტავ როდის მოვლენ ჩვენი კურსანტები საგარაკოთო.

აი როგორი იყო ჩვენი კულტურული მუშაობა გლეხებთან.

მაშ შესძლებია საბჭოთა ხელისუფლებას დაიცვას მუშების და გლეხების ინტერესები, არა დეკრეტებით არა ცარიელ სიტყვებით მზგავსად მისი წინამოადგილისა, არამედ საქმის ცოცხალი საქმით.

ჩვენ უკვე ორი წელი ვიყავით სურამში და მოკლე ხანში ჩვენ მესამედ ვინახულებთ სურამის ძვირფას გლეხობას. ჩვენ მესამედ დაუმტკიცებთ გლეხობას, რომ ჩვენ მათი დამხმარე ვართ და არა თავადების და ბურჟუაზიის. ჩვენი სკოლა არ არის იმდენად მდიდარი, რომ გლეხობას სხვა ნაირი დახმარებაც გაუწიოს. მაგრამ თუ პირველად საგარაკოთ წასვლის დროს ძალიან ღარიბი იყო და მაინც შესრულა ის, რაც აუცილებლად უნდა ექნა, მეორედ ჩვენმა წასვლამ უფრო მეტი ნაყოფი მისცა გლეხობას და ახლა მესამედ ჩვენი წასვლა დიდ რამეს მისცემს მათ. თუ რას გააკეთებს ჩვენი სკოლა იქ, ამას ჩვენი მომავალი მუშაობა დაამტკიცებს. თუ იუნკრები გლეხობას უყურებდენ, როგორც უბრალო ბრმა იარაღს და როგორც თავიანთ ყმებს ჩვენ გლეხების ნამდვილი ძმები ვართ, გლეხების შვილები და მასთან ერთად ჩვენ ვისწავლით, ვიმუშავებთ და ვიბრძოლებთ, სანამ მთელ მსოფლიოზე მშრომელი ხალხი არ მიაღწევს თავის უდიდეს მიზანს.

ჩვენ მარტო ბრძოლას აღარ ვსწავლობთ, არამედ ვსწავლობთ მუშების და გლეხების ინტერესების დაცვას. ყველა მკითხველი მიხვდება თუ რა განსხვავება ყოფილა ჩვენს და იუნკრების შორის.

მოვიდა დრო, მალე საგარაკოთ წასვლისა და ჩვენ იქ უფრო შეგნებით გაუწევთ სურამის გლეხობას ძმურ დახმარებას.

ჩვენ მათ წინაშე ვსდებთ მხედრულ ფიცს მესამეჯერ, რომ ჩვენ მათთვის არ დავიშურებთ არაფერს.

სალამი მხურვალე მხედრული და მუშური სურამის ულარიბეს გლეხობას და იმ მესვეურთ, რომლებიც ხელმძღვანელობენ და გვასწავლიან მუშების და გლეხების ინტერესების დაცვას.

ა. ჭკადუა.

რაზედ გვწერენ

ვანა ეს დასაშვებია?

კვირას, 23 მარტს, ცალკე საკავშირო ასეულის „წითელ კუთხეში" მოეწყო ანტი-რელიგიური კომპანია, სადაც მონაწილეობდენ ასეულის ყველა მოლაშქრენი. ამ დროს, შემოდის ასეულის დღიური და ეუბნება კოპერატივის გამგე ამხ. გოგიბერიძეს, რომ ასეულის უფროსი გიძახისო, მაგრამ პოლიტხელმა, ამხ. მაჩიტაძემ არ გაუშვა.

როდესაც გათავდა კამპანია და კოოპ. გამგე გავიდა ეზოში — ამხ. ქართველიშვილმა მას ყვირილი დაუწყო: „მე რომ დაგიძახე, რატომ არ გამობრძანდიო?!".

ამხ. გოგიბერიძე რა დამნაშავე იყო, როდესაც ის არ გამოუშვეს თანაც ესეც რომ არ იყოს, ჩვენს წითელ არმიელებს ერთი დღე აქვთ თავისუფალი (კვირა) როდესაც ისინი იკრიბებიან ერთად და იძენენ კულტურულ-პოლიტიკურ ცოდნას, და ამ დღესაც არ უნდა მოვასვენოთ?!

არაა ეს დასაშვები.

მიქელი.

ქართულ სამხედრო-სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიისაგან.

(მოქმედების მოკლე ანგარიში.

დღიდან დაარსებისა ქართ. სამხედრო-საგამომცემლო კოლეგიამ (17 დეკემბერი 1923 წ.) დაბეჭდა და გამოსცა 1. ს. საგარნიზონო წესდება, 2. ხიშტით ბრძოლა, 3. დასტურლამა საჩვენებელ ასეულთათვის, 4. ქვეითი ჯარის ბრძოლა, 5. ტაქტიკა, სახელმძღვანელო (ნაწ. 1 შესავალი).

აღნიშნული წიგნები შედგენილ და გადათარგმნილი იყო კოლეგიის დაარსებამდე და უკვე დამზადებული გადმოეცა კოლეგიას. ეს წიგნაკები უკვე დაისტამბა და დაურიგდა ნაწილებს.—სულ 4 წიგნაკი.

2. კოლეგიამ დაამზადა დ დასტამბა: 1. **ტაქტიკა**, სახელმძღვანელო ნაწილი 1, ქვეითი ჯარი—შედგენილი კოლეგიის დანიშნულ კომისიის მიერ (ალ. გედევანიშვილი, ლავ. სლინკო და ლევ. გარსიაშვილი), 2. **ტანკები**—მიხეევ-სა, თარგმანი ი. გედევანიშვილისა, 3. **ტოპოგრაფიის საცნობადო**—თარგმანი შტატით დაწესებულ მთარგმნელისა იერემია გარსიაშვილისა, 4. **ტერიტორიალური ჯარი**, შედგენილი ალ. გედევანიშვილის მიერ 5. **ტყვია მფრქვევი ლუისისა**, თარგმანი ლადო ცაგარელისა, 6. **ავტომატი**—ფეოდოროვისა, თარგმანი ლ. ცაგარლისა, 7. **ტელეფონი და ტელეგრაფი**, სახელმძღვანელო შედგენილი მიქელაძის და ქართველიშვილის მიერ. აღნიშნული წიგნაკები ზოგი უკვე დასტამბულია, ზოგიც მთავრდება სტამბაში და მოკლე ხანში დარიგდება.—სულ 7 წიგნაკი.

3. კოლეგიას დამზადებული აქვს დასასტამბავად **ფორთიფიკაცია**, სახელმძღვანელო შედგენილი ვახვახიშვილის მიერ, 2. **ქიმიური ბრძოლა**—სახელმძღვანელო, შედგენილი რაფავას მიერ, 3. **ტაქტიკა**, ნაწ. 1 სპეციალი დარგები ჯარისა, უკანასკნელი სამივე შედგენილია ზემოდ დასახელებულ კომისიის მიერ: 6. **მოქმედება მთებში**—თარგმანი შტატით დაარსებულ მთარგმნელის იერემია გარსიაშვილის მიერ, 7. **მოქმედება ტყეებში**—თარგმანი ი. გედევანიშვილისა, 8. **ლაფეტი პ.-დ. ზარბაზნისა**, თარგმანი ბარნაბიშვილისა, 9. **ჰიპოლოგია**—შედგენილი ბეითალ ჩხენკელის მიერ, 10. **ლეგიონის მნეობის სახელმძღვანელო**—შედგენილი მაჭავარიანის მიერ. 11. **ასეულის მნეობის სახელმძღვანელო, მეთაურთა მეცადინეობისათვის რიგებზე**, თარგმანი შტატით დაარსებულ მთარგმნელის იერემია გარსიაშვილისა—სულ 12 წიგნაკი.

ამ რიგად დღიდან დაარსებისა 1-ლ აპრილამდე ე. ი. 3 ნახ. თვეში კოლეგიამ დასტამბა და დაარიგა 4 წიგნაკი. გაამზადა, დასტამბა და ამ დღეებში დაარიგებს 7 წიგნს და გამზადებული აქვს და ელის დასტამბას 12 წიგნი. სამწუხაროდ სამხედრო სტამბა ვერ ასდის კოლეგიის მუშაობას და დროზე ვერ ასწრებს დასტამბას, რადგანაც სტამბა თავისი არსებობისათვის იძულებულია, გარდა კოლეგიის გამოცემებისა, შეასრულოს აგრეთვე კერძოთ შეკვეთილი სამუშაოები. ყოველ შემთხვევაში კოლეგია იმედოვნებს, რომ მომავალ შემოდგომისათვის ყველა ზემოდ აღნიშნული წიგნაკები დასტამბულ და გამოქვეყნებულ იქნება.

ქართულ დივიზიის სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალში.

დეზერტირის ამბავი.

ივანე ილიას ძე თანასოვი გაწვეული იყო სამხედრო სამსახურში 1923 წ. აპრილში. დეკემბრის შუა რიცხვებში იგი გადაგზავნეს საავათმყოფოში, რადგანაც მას ტრიკი აღმოაჩნდა. საავათმყოფოში მას დაუპირეს ოპერაცია, რისაც „ავათმყოფს" ძლიერ შეეშინდა და გაიპარა სახლში. ერთი თვის შემდეგ იგი კვლავ გამოცხადდა სამსახურში.

რევტრიბუნალმა მას გადაუწყვიტა ორი წლის პირობითი სასჯელი 5 მანეთი ქონების კონფისკაცია და ნაწილში დაბრუნება.

მამის ავათმყოფობის გამო.

1-ლი ლეგიონის წით. არმ. კონსტანტინე არაბიძემ 1923 წლის 13 ნოემბერს მიიღო სახლიდან ნაწილში მამის ავათმყოფობის ამბავი ნებართვის აუღებლათ იგი გაიპარა სახლში და ერთი კვირის შემდეგ კვლავ თავისი ნებით დაბრუნდა.

რევტრიბუნალმა იგი ილიარა დეზერტირათ და მიუსაჯა 6 თვის გამასწორებელ სახლში ყოფნა და სამი მანეთის ქონების ჩამორთმევა, მაგრამ მიიღეს რა მხედველობაში სახლში გაპარვის მიზეზი სასჯელი შეუცვალეს პირობითი სასჯელით და ქონების ჩამორთმევის ძალაში დატოვებით.

საკრებულო პუნქტიდანვე გაპარვისთვის.

პრაკოფი შენგელია გაწვევისას იქნა მიღებული და გადაგზავნილი 1-ლ ლეგიონში, მაგრამ იგი საკრებულო პუნქტიდანვე გაიპარა სახლში და დაჰყო იქ რვა თვემდე. აღნიშნულ ბრალდებისათვის რევტრიბუნალმა მიუსაჯა მას ექვსი თვით გამასწორებელ სახლში მოთავსება და სამი მანეთი ქონების კონფისკაცია.

დანიშნული საქმეები.

— **გუშინ**, 3 აპრილს რევტრიბუნალში გაირჩა 1-ლი ლეგ. წ.-არ. ილია სანდოშვილის საქმე ბრალდება ბრძანების აუსრულებლობა.

— **მითვისება გაფლანგვისთვის.** 3 აპრილს რევტრიბუნალი შეუდგა მარიამ კაჟურინის საქმის გარჩევას. ბრალდება გათვალისწინებულია თანახმად 216 მუხლისა და შეეხება მითვისება გაფლანგვას.

— **ასათიანის საქმე.** დღეს დანიშნულია რევ. ტრიბ. თანამშრომლის ვალ. ასათიანის საქმე. ბრალდება თანამდებობითი დანაშაული.

— **დეზერტირის საქმე.** რევტრიბუნალში დღეს გაირჩევა დავით შარაბიძის საქმე. (ცხენოსანი ლეგიონის წით.-არმ.) ბრალდება დეზერტირობა.

ახალი ამბები.

— **სასადილო სამხედრო პირთათვის.** ქ. დ. ცენტ. კლუბთან გაიხსნა და მოქმედებს იაფ ფასიანი სასადილო. სასადილოს დროს უკრავს მუსიკა და აჩვენებენ კინო-სურათებს.

— **სამეგრელოს მუზეუმი.** დაარსდა კომისია, რომელსაც დაევალა ქ. ზუგდიდში ყოფილ „დედოფლის სასახლეში" დაცულ იქნას სამუზეუმო ნივთები.

— **გზის გაყვანა.** ქალ. აღმასკომი მოკლე ხანში შეუდგება კოდაალმულალში 32 ვერსიანი გზატკეცილის გაყვანას, რისთვისაც გადადებულია 10.000 მან. ჩერ.

— **სახლების დაზღვევა.** საქ. სახკომსაბჭომ მიანდო იუსტიციის და შინაგან საქმეთა კომისარიატებს გამოიმუშაონ დებულება სახლების სავალდებულო დაზღვევის შესახებ,

— **საავათმყოფოებისათვის.** ქალ. აღმასკომმა ქალაქის საავათმყოფოებისათვის საჭირო ნივთების შესაძენათ გადასდო 75.000 მან. ჩერ.

— **ბაღების გამშვენიერება.** მიმდინარე წელში ტფილისის ბაღების გასამშვენიერებლათ და მოსაწყობათ აღმასკომმა გადასდო 20,234 მ. ჩ.

— **კავკასიის კურორტებზე.** საქართველომ მიიღო კავკასიის კურორტებზე მიმდინარე საგარაკო სეზონისთვის ათი ადგილი.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** 2 აპრილს შრომის ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 80 უმუშევარი. ახლათ ჩაეწერა 89 კაცი.

ხელოვნება.

— **დრამწრეების შეჯიბრება.** ქართ. სამხედრო სკოლასა და 1-ლ ლეგიონის დრამწრეების შორის გაიმართა შეჯიბრება წარმოდგენების დადგმაში. სამხ. სკოლამ გამართა წარმოდგენა 31 მარტს, ხოლო 1-ლ ლეგიონი მართავს დღეს ცენტ. კლუბში.

— **პროლეტკულტში** საქართველოს პროლეტკულტში დაიწყო ლექციების კითხვა ყველა დარგზე. ლექციები მუშებისა და წითელ არმიელთათვის უფასოა.

— **საზღვარ გარეთ გაგზავნა.** ხელოვნების მთავარმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე მხატვარ ირ. თოიძის საზღვარ გარეთ გაგზავნის შესახებ.

დღეს თეატრებში.

ოპერა—სილვა.

დრამა—თურქული წარმოდგენა.

სახ. სახლი—უნიადაგონი.

წით. არმ. კლუბი—წითელ არმიელთა წარმოდგენა.

მეცნიერება და ტექნიკა

სასწაული საინჟენერო ხელოვნებაში.

თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება იმდენად განვითარდა და იმდენად საჭირო შეიქნა დროს ეკონომია ე. ი. სულ მცირე, უმნიშვნელო დროს განმავლობაში დიდი საქმის გაკეთება, რომ ამას ერთი წუთითაც არ აევლება გვერდი. ბუნებრივად ამ დროს მუშა ხელის ადგილს იჭერს მანქანა, რომელიც გაცილებით უფრო ჩქარა ასრულებს ამა თუ იმ სამუშაოს და სრულიად აკმაყოფილებს ჩქარი და შეუსვენებელი მუშაობის მოთხოვნილებას წარმოებაში. უმთავრესად ასეთი მექანიზაცია ერთობ იკიდებს ფეხს ამერიკაში, სადაც ესოდენ ძლიერ არის განვითარებული წარმოება და თითქმის ყოველ წუთობით ცხვება ახალ ახალი მიხწევები ტეხნიკაში. ერთ ასეთ დიდ საყურადღებო მიღწევად უნდა ჩაითვალოს ხიულეტის სისტემის გადამტვირთავი მანქანა, რომელიც დადგმულ იქნა ჩიკაგოს (ამერიკა) სამთო-მადნო სამრეწველოების რაიონში. ეს მანქანა უდიდესია მთელ ქვეყანაზე არსებულ გადამტვირთელ მანქანებზე. აი როგორია მისი მოქმედების არე. მადნის დასაყრელ ეზოს სივრცე უდრის 40 დესიატინას. ეზო შემოკავებულია ცემენტის ბეტონის კედლით და იტევს 1000000 ტონ მადანს. ეზოსა და ზღვის პირას შორის რკინის ბეტონის იატაკია. მოძრაობენ გამტვირთველი მანქანები. მანქანებს ქვევით დაგებულია რკინის გზის ლიანდაგი, რომლის საშვალებითაც ხდება პირდაპირ ვაგონების დატვირთვა მადნით. თითეული მანქანა აღჭურვილია ხელოვნური უზარმაზარი ხელით, რომლის სიგანე უდრის 7 მეტრს და იტევს 17 ტონს მადნისას. გემების გადატვირთვის მთელი პროცესი ხდება შემდეგ ნაირად. მანქანის ხელოვნური ხელი ჩაეშვება ტრიუმში, ამოაქვს მადანი, შემდეგ მოგორავს უკან რკინის გზის ლიანდაგზე დატვირთავს ვაგონებს. მემანქანე, რომელიც ზის მანქანაში, კნოპკაზე ხელის დაჭირებით ამოძრავებს ელექტრომოტორს. მანქანის ხელს ყოველი მხრივ შეუძლია ბრუნვა. თითეულ მოძრაობას ცალკეული ელექტრომოტორი ემსახურება. ყველა მოტორების სიძლიერე მანქანაზე უდრის 870 ცხენის ძალას. მანქანა იწონის სულ 730 ტონს. მოსამსახურეთა პერსონალი მანქანაზე სულ რამოდენიმე კაცისაგან შესდგება. რამდენად კარგად მუშაობს ეს მანქანები სჩანს შემდეგი ციფრებიდან: 20 საათს განმავლობაში ასეთი მანქანების საშვალებით გადატვირთული იქნა 8 გემი. სულ 70.000 ტონი. ეს მანქანები ნამდვილი სასწაულია საინჟენერო ხელოვნებაში, როგორც თავისი სიძლიერით ისე სიზუსტით და მუშაობის ჩქარი მიმდინარეობით.

შეიხ.

ჩერვონეცის კურსი 4 აპრილს

1 **ჩერვონეცი 38,000,000,000.**

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1 კ.= 38,000,000	37 კ.=1,406,000,000	73 კ.=2,774,000,000
2 კ.= 76,000,000	38 კ.=1,444,000,000	74 კ.=2,812,000,000
3 კ.= 114,000,000	39 კ.=1,482,000,000	75 კ.=2,850,000,000
4 კ.= 152,000,000	40 კ.=1,520,000.000	76 კ.=2,888,000,000
5 კ.= 190,000,000	41 კ.=1,558,000,000	77 კ.=2,926,000.000
6 კ.= 228,000,000	42 კ.=1,596,000,000	78 კ.=2,964,000,000
7 კ.= 266,000,000	43 კ.=1,634,000,000	79 კ.=3,002,000,000
8 კ.= 304,000,000	44 კ.=1,672,000,000	80 კ.=3,040,000,000
9 კ.= 342,000,000	45 კ.=1,710,000,000	81 კ.=3,078,000,000
10 კ.= 380,000,000	46 კ.=1,748,000,006	82 კ.=3,116,000,000
11 კ.= 418,000,000	47 კ.=1,786,000,000	83 კ.=3,154,000,000
12 კ.= 456,000,000	48 კ.=1,824,000,000	84 კ.=3,192,000,000
13 კ.= 494,000,000	49 კ.=1.862,000,000	85 კ.=3.230,000,000
14 კ.— 532,000,000	50 კ.=1,900,000,000	86 კ.=3,268,000,000
15 კ.= 570,000,000	51 კ.=1,938,000,000	87 კ.=3,306,000,000
16 კ.= 608,000,000	52 კ.=1,976,000,000	88 კ.=3,344,000,000
17 კ.= 646,000,000	53 კ.=2,014.000,000	89 კ.=3,382,000,000
18 კ.= 684.000.000	54 კ.=2,052,000,000	90 კ.=3,420,000,000
19 კ.= 722,000,000	55 კ.=2,090.000,000	91 კ.=3,458,000,000
20 კ.= 760,000,000	56 კ.=2,128,000,000	92 კ.=3,496,000,000
21 კ.= 798,000,000	57 კ.=2,166,000,000	93 კ.=3,534,000,000
22 კ.= 836,000,000	58 კ.=2,204,000,000	94 კ.=3,572,000,000
28 კ.= 874,000,000	59 კ.=2,242,000,000	95 კ.=3,610,000,000
24 კ.= 912,000,000	60 კ.=2,280,000,000	96 კ.=3,648,000,000
25 კ.= 950,000,000	61 კ.=2,318,000,000	97 კ.=3,686,000,000
26 კ.= 988,000,000	62 კ.=2,356,000,000	98 კ.=3,724,000,000
27 კ.= 1,026,000,000	63 კ.=2,394,000,000	99 კ.=3,762,000,000
28 კ.= 1,064,000,000	64 კ.=2,432,000,000	1მ.=3,800,000,000
29 კ.= 1,102,000,000	65 კ.=2,470,000,000	2მ.=7,600,000,000
30 კ.= 1,140,000,000	66 კ.=2,508,000,000	3მ.=11,400,000,000
31 კ.= 1,178,000,000	67 კ.=2,546,000,000	4მ.=15,200,000,000
32 კ.= 1,216,000,000	68 კ.=2,584,000,000	5მ.=19,000,000,000
33 კ.= 1,254,000,000	69 კ.=2,622,000,000	6მ.=22,800,000,000
34 კ.=1,292,000,000	70 კ.=2,660,000,000	7მ.=26,600,000,000
35 კ.=1,330,000,000	71 კ.=2,698,000,000	8მ.=30,400,000,000
36 კ.=1,368,000,000	72 კ.=2,736,000,000	9მ.=34,200,000,000
		10მ.=38.000,000,000

დავკარგე

პარტიული მოწმობა, მიღებული თბილისის ახალ გაზრდა კომუნისტური კავშირის კომიტეტიდან № 6227, დეკემბრიდან 1924 წ. სერგო თოლორდავას სახელზე.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1,300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.